572
1973/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1973 ნოემბერი N 11

ბავშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.143

პავლე მაკრუშენკო

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ლენინთან

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში რევოლუცია მოხდა. ამ დღეს შეიარაღებულმა მუშებმა, ჯარისკაცებმა და მეზღვაურებმა გააძევეს ბურჟუები და ძალა-უფლება ხელში აიღეს.

მსოფლიოში საბჭოთა მთავრობის პირველ მეთაურად მათ აირჩიეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი—თავიანთი საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი. ახალ მეგობარს ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა: ყველაფერს თავიდან იწყებდა.

ერთხელ, გვიან ღამით, სმოლნის სასახლესთან, რომელშიც საბჭოთა მთავრობა იმყოფებოდა, დამცველი ჯარისკაცები და მუშები კოცონთან თბებოდნენ. კოცონის შუქი ანათებდა იქვე მდგარ ჯავშნოსან ავტომობილებს, ქვემეხებს და ტყვიამფრქვევებს.

სასახლის ფანჯრებში უკვე დიდიხანია ჩაქრა სინათლეები. მხოლოდ მესამე სართულზე მოჩანდა შუქი. იქ ლენინის სამუშაო ოთახი იყო. პიტერელმა მუშამ, ნიკოლოზ ივანოვმა, რომელსაც ტყავის ქურთუკზე ქამრად ტყვიამფრქვევის ლენტები შემოეკრა, თქვა:

— ლენინს ჯერ კიდევ არ სძინავს!..

ყველამ იმ ოთახისაკენ გაიხედა. ლატვიელმა მსროლელმა, იანოშ ბრიკშნემ, ღიმილით წარმოთქვა:

— ილიჩი დღეს ჩვენს პოლკში სიტყვით გამოვიდა...

კოცონთან ახლოს იჯდა ვლადიმირის გუბერნიიდან ჩამოსული გლეხი, სერგეი გუსევი, ქალამნები და შინნაქსოვი ქურთუკი ეცვა, თავზე კურდღლის ტყავის ყურებიანი ქუდი ჩამოეფხატა. მოხუცმა ცეცხლს შეუკეთა და თქვა:

— დღეს მეც მქონდა ბედნიერება, მენახა ჩვენი ძვირფასი ამხანაგი ლენინი. ილიჩმა ხვალ დილისათვის დამიბარა.

— თუ საიდუმლოება არ არის, გვითხარი, რა საქმე გაქვს ლენინთან?—შეეკითხა მუშა ნიკოლოზ ივანოვი.

— არავითარი საიდუმლოება არა მაქვს. ლენინის დეკრეტის თანახმად, ჩვენმა გლეხებმა ბატონს მიწები წაართვეს. მიწები კი გვაქვს ახლა, მაგრამ გაზაფხულისათვის ვერც მოვხნავთ და ვერც დავთესავთ,—თესლი არ გაგვაჩნია. ჰოდა, მთელი სოფლის გლეხებმა გამომაგზავნეს: წადი ლენინთან, ის დაგარიგებს როგორ მოვიქცეთო!..

კოცონის გარშემო მყოფნი დუმდნენ. ყველა თავისას ფიქრობდა.

სახელმწიფოში ხომ მართლაც გართულებული იყო მდგომარეობა.

ლენინსაც არ ჰქონდა თადარიგში მარცვლეული და მანქანები. მაინც ყველას სჯეროდა, რომ ილიჩი მონახავდა გამოსავალს...

გრძელულვაშა უკრაინელმა მეტყვიამფრქვევემ, სტეფანე გორდიენკომ, შენიშნა:

— წუხელ, გათენებამდე, ჩემს მეგობართან ერთად, ლენინის სამუშაო ოთახს ვდარაჯობდი. თვალები გვეხუჭებოდა ძილისაგან, უცბად კარი გაიღო და ვლადიმერ ილიას ძე გამოვიდა. პალტო მოეხურა, ხელში თუნუქის ჩაიდანი ეჭირა.

— დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!—მოგვესალმა ილიჩი.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ, ამხანაგო ლენინ,—მივუგეთ ერთხმად.

— როგორ გუნებაზე სართ?

ჩვენ კი, ჩვენის მხრით, შევეკითხეთ:

— რომელი საათი იქნება?

ლენინმა ამოიღო ჯიბის საათი და გვიპასუხა:

— დილის ექვსი საათია. რა, ცვლას ელით?

— დიახ, დროა...

ილიჩმა ჩაიდო საათი ჯიბეში და ადუღებული წყლისათვის გასწია...

— მოიცა, მოიცა, სტეფანე. შენ ამბობ, რომ ლენინი დილის ექვს საათზე ნახე?—შეეკითხა მუშა ივანოვი.

— დიახ!—მიუგო უკრაინელმა ჯარისკაცმა.

— თქვენ, მოხუცო, ლენინი დღისით ნახეთ?

— დიახ,—მიუგო გუსევმა.

— შენ, იანოშ, ლენინი საღამოს ნახე პოლკში?

— დიახ!—თავს უქნევს ლატვიელი მსროლელი.

— მაშ, როგორც ჩანს, მთელი დღეღამის განმავლობაში ლენინს არ სძინებია—

— ასე გამოდის,—დაეთანხმა ყველა და ისევ გახედეს სმოლნის ზედა კუთხეში მოკიაფე შუქს.

თარგმნა რევაზ ჭიჭინაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მიხაკები

* * *

ბურამ ბახბაძე

ნახატები ზურაბ კაკაბაძისა

წითელი მიხაკების თაიგული მიუტანეს ოქტომბრელებმა თეთრთმიან მანდილოსანს—ელისაბედ ლეჟავას. იგი თბილისში ცხოვრობს.

ბებია ელისაბედი ღრმა მოხუცია, 70 წლის წინათ—1903 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მაშინ ლიზიკოს ეძახდნენ და რაჭის პატარა სოფელ ხოტევში ცხოვრობდა. აი, რა უამბო ბებია ელისაბედმა ოქტომბრელებს:

პირში ჩალაგამოვლებული ბოქაული

სამჭედლოში ხშირად მოდიოდა ნაწნავებიანი გოგონა. ხელში ხილითა და ბოსტნეულით სავსე კალათა ეჭირა. ღიმილით გადასცემდა მჭედელს, დედამ გამოგიგზავნათო, ეტყოდა ხოლმე და წავიდოდა.

მჭედელი კალათს პატარა ქოხში გაიტანდა, ფრთხილად ამოაწყობდა ვაშლებისა და კიტრებს ქვემოთ დაწყობილ რევოლუციურ წიგნებს.

ეს გოგონა ლიზა იყო.

წიგნებში ეწერა, რომ საჭიროა, მშრომელების შეკავშირება და ერთად ბრძოლა მეფის წინააღმდეგ.

ერთ დღეს ლიზამ სახლის ახლოს საეჭვო პირები შენიშნა. სამზარეულოში დამალულ წიგნებს ხელი დაავლო და სახლიდან გაიპარა. ყანა-ყანა იარა და სასაფლაოზე მივიდა. იქ ჩუმად დამალა წიგნები.

როცა ბოქაულმა სახლი გაჩხრიკა და ვერაფერი ნახა, მათრახმომარჯვებული ცხენს შემოახტა და მასზე იყარა ჯავრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საიდუმლო დავალება

მაგიდაზე ლამპა ენთო. ლიზიკოს წიგნი გადაეშალა და კითხულობდა. უცებ ფანჯარაზე კაკუნი გაისმა. ლიზიკომ თავი ასწია და მიაყურა. როცა კაკუნი განმეორდა, ადგა და ფანჯარასთან მივიდა, რევოლუციონერების კრებაზე უხმობდნენ. იქ საიდუმლო დავალება მიიღო ქალიშვილმა—წითელი დროშა უნდა შეეკერა.

მთელი ღამე ჩაკეტილი იყო. მაგიდაზე ფარჩა გადაეშალა და გულდასმით კერავდა წითელ ქსოვილს. შეკერვას რომ მორჩა ოქროსფერი ძაფით ამოქარგა: „ძირს თვითმპყრობელობა!“ „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

მეორე დღეს სოფელში დემონსტრაცია მოეწყო. რევოლუციონერებს წინ ლიზიკო მიუძღოდა. ხელში თავისი შეკერილი წითელი დროშა ეჭირა.

ეს იყო პირველი წითელი დროშა რაჭაში.

ნაქერალას უღელტეხილზე

თოვს და ყინავს. სუსხიანი ქარი ქრის. ნაქერალას უღელტეხილზე დიდი თოვლი დევს. ძაღლი არ გაიგდება გარეთ,—ასე თქვა საღამოს პაპა ელიზბარმა.

ღამით თოვლმა უფრო იმატა, დილას კი ეზოში სამნი გამოჩნდნენ. ერთი მეზობელი გლეხი იყო, მეორე—უცნობი, მესამე კი ქალი აღმოჩნდა.

— რაო, ეს ქალი უღელტეხილზე უნდა გადავიდეს?—გაიკვირვა პაპამ.

მაგრამ პაპა არ იცნობდა ამ ქალს—იგი ხომ რევოლუციონერი იყო. ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლებს კი არავითარი დაბრკოლება არ აშინებდათ.

გაოცებულმა პაპამ გზა ასწავლა ქალიშვილს. ლიზიკომ ქარსა და ყინვაში გადაიარა ციცაბო ფერდობები, მან შეუძლებელი შეძლო.

ცოფს ყრიდა მაზრის უფროსი—რევოლუციონერი ქალი ხელიდან როგორ დაგვიძვრაო!—მისი ჯარისკაცები ხომ საურმე გზაზე უდარაჯებდნენ ელისაბედ ლეჟავას...

რამდენიმე დღის შემდეგ ელისაბედი უკვე სხვა ადგილას ხელმძღვანელობდა მუშათა წრეს, მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა მშრომელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი ბატინი და ქალბატონი ბატისინა

ჯანსუღ ჩარკვიანი
მხიარული ამბავი

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

ხელიშურზე ჭალა არის,
ჭალაში კი ვენახია.
ვენახებთან ლურჯი ტბაა,
ბატების ტბას ეძახიან.

ასე არის მოლდავურად,
სომხურად და ქართულად,
ქვეყანაზე ბატი მხოლოდ
ბატის ტვინით განთქმულა.

მე რომ ბატებს გაგაცნობთ,
სხვანაირი ბატებია,
მკითხველიც და მსმენელებიც
ერთნაირად დატკბებიან.

ბატონი ბატინი,
გული აქვს ბატკნისა,
არც ჭკუა, არც ტვინი
არა აქვს ბატისა.

ფრთები აქვს არწივის,
სისწრაფე ხვლიკისა,
ენა აქვს აცრილი —
ესე ივი, ჩხიკვისა.

ქალბატონი ბატისინა
პატივსა სცემს იგავებს,
აბა, ჰკადრეთ „ბატისტვინა!“
თავს მოიკლავს იქავე.

ფარშევანგის ფრთები აქვს,
მთელ ქვეყანას ახარებს,
არის ყველას ბეგია,
არის ყველას დამხმარე.

ქვეყნად ეშმაკობაში
ვერასდროს ვერ შეცვლიან.
მელია უკითხავდა,
ეშმაკობის ლექციას.

ორივე ბატს მოვუძებნეთ
სახელები მარტივი,
ქალბატონი ბატისინა
და ბატონი ბატინი.

. . .

ეს ცხოვრება ასეთია,
მრუდეა თუ სწორია,
ქვეყანაზე დალხინებით
აბა, ვის უცხოვრია.

ტბის გადაღმა,
ერთ სოროში
მელაკუდა ცხოვრობდა,
ავად იყო, დღე და ღამე
სჭირდა გაუძღომლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაწყვიტა, შეჩვეოდა
ხელიშურის ჭალასო,
რა სჯობია, ტბის ნაპირზე
ბატის ხორცის ჭამასო.

მიადგა
ქალბატონ ბატისინას,
ეგონა
ნამდვილი ბატისტვინა.

ასე უთხრა:
— შენ მაგონდები
დღისით და ღამითაო,
მუზა მომივიდა,
მათხოვე ბატისფრთაო.

ერთი კარგად გაიცინა
და მიუგო ბატისინამ:
— მელიკო,
წითელო მხეცუნი,
მელიკო, ლამაზო მხეცუნავ,
ახლავ შევასრულებ შენს სურვილს!—
თქვა და ლურჯ ტბაში შესცურა.

მშრალზე დარჩა მელიაო,
მელა კუდიგრძელიაო.

ახლა მიადგა ბატინის,
შორიდან ჩაუარაკა.
მაქვს ნათლიმამავ პატივი,
შეგიქო ფრთების ბარაქა.

შენი იმედი მაქვს
დღისით და ღამითაო,
კბილში რაღაც გამეჩხირა,
მათხოვე ბატისფრთაო.

ბატინიმაც გაიცინა
ისე, როგორც ბატისინამ...
— მელიკო, წითელო მხეცუნი,
მელიკო, ლამაზო მხეცუნავ,
ახლავ შევასრულებ შენს სურვილს!—
თქვა და, ლურჯ ტბაში შესცურა.

მშრალზე დარჩა მელიაო,
მელა კუდიგრძელიაო.

ვერ მოგართვეს ჩიჩიაო,
კეტი გინდა ქინჩშიაო...
. . .

შუა ტბიდან შეუძახეს—
თუ არ გაგვცემ, მელიაო,
ერთ საბატეს მიგასწავლით,
დიდის ამბით გელიანო.

ერთ ბატს ჰქვია, ბოტოტინა,
მეორეს კი, ბატუნია,
ორივ თავის ამარაა,
ორივ დედის ნატრულია.

ფრთას კი არა, სულს მოგცემენ,
გაგიშლიან ბუმბულსაო,
გაგაძღებენ, გიმღერებენ,
აჯობებენ ბულბულსაო.

მელამ დინჯად მოისმინა,
ჩაიცინა ნელ-ნელაო,
— ღმერთმა ასე გაგვაჩინა,
შენ ბატი და მე მელაო.

საღამოთი გზას გაუდგა,
ჭრაქითა და ლამფითაო,
კუდის ქიცინ-ქიცინითა,
ნერწყვის ყლაპვა-ყლაპვითაო.

გაიხარა შუაღამით,
რომ მიადგა საბატეს,
მასპინძლებმა მიიწვიეს,
შუა ცეცხლიც დაანთეს.

ვითომ ბატის სიმღერა თქვეს
და ყიყინი გამართეს.
გამოვარდნენ ბომბორები,
მელა მიასავათეს,
შენს მტერს, ჩემო პაწაწინავ,
რაც მელიკოს დამართეს.

ზღაპარიყო, ზღაპარიყო
ჭკუით სავსე ბატებისო.
იმ ლურჯთვალა ტბის ნაპირზე
ბაღი გაჩნდა ვარდებისო.

. . .

სიზმარში ბალამწარაო,
ვინც ძილი არ მაცალაო,
ფათერაკს ამაცილაო,
ვინც ტკილად დამაძინაო.

იროდიონ ევდოშვილი

(1873—1916)

ვის არ ახსოვს ლექსი:

ეზეულ ფანჯარას სსიეი სტეორცხა,
დილა არის მშვენიერი,
აბა, ბიჭო ტანთ ჩაიცვი
და სკოლისკენ ჰერი, ჰერი!

ეს სტრიქონები იროდიონ ევდოშვილს ეკუთვნის. იროდიონ ევდოშვილს (ხოსიტაშვილს), დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

მისი მოთხრობები: „ორი ობოლი", „კაკანათი", „უბედური ქორბუდა", „მწყემსი გაგნა" ჩვენი ნორჩი მკითხველების საყვარელი ნაწარმოებებია. ვბეჭდავთ მის ერთ-ერთ ლექსს.

ნახატი მალხაზ კუხაშვილისა

ზაფხული

გათენდა და გაანათა,
აბა, ბიჭო, ნამეცალს სელი!
ადრიანად მიეესიოთ,
ენა გეელის მოსამკელი.

ტოროლამაც ფრთა გაშალა,
დასრიალებს ძაღლა ცაში;

ის ბანს ეტეგის ჩვენს სიმღერას,
ამ დალოცვილ ენის მკაში!

თოხი, ბარი და ფიწალიც
დატრიალდა მთა და ბარში.
ზაფხულია, დაეეშუროთ,
შეეიტანოთ სარჩო სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუჭყიანი გოჭების ლეპსი

ბარბარე ჭანკვარია

ძრგვალი, როგორც ლოტოს კოკი—
დაგოგავდა ორი გოკი.

ძრგვალი, როგორც ლოტოს კოკი—
თეთრი გოკი!
შავი გოკი!

სულ კუნტრუშით მოიარეს
ჯაობები, ჭრინჭეო, ჭოკი!
შავი ისეც შავი იყო—
შავი გახდა თეთრი გოკიც!

ათინათი

მზია ჩხეიძიანი

აქეთ-იქით,
დაბლა-ძალლა
ანგრა-დანგრა ათინათი,
ატორტმანდა,
აიძართა,
აედევნა ათი დათვი.

ქაიმური სარკეს ძალავს:
დააუნეთ ეგეელამ თათი!
ჩემს ათინათს ვერ დაიჭერთ,
ვერ ძოკაროკეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა ერთი ტვეყანა

გივი გეგეჭკორი

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

ეოფილა ერთი ქეეყანა,
ის არ უნახავს არვის,
იქ თურმე ეკეალა ძაძალი
დაიარება შარეალით.
გაბრიალებულ ფეხსაცმელს
თურმე ოავისი ენით
რმე შეუძლია ატლიკოს
და კიდეე ვაშლის წვენი.
თურმე წიწმატის ხეებზე
დაიარება ზებრა
და კარტოფილი მორთული
ფანჯრის რაფაზე ჯდება.
ბოთლი გაძოდის სკეინაზე,
ბოთლი ლიკლიკით ძღერის,
მოძღერალია ჰირეეული
სახელგანოქმული ერის.
არც საჭარძელი ისვენებს,
როგორც ნასვაძი გლეხი,
გარძონის ხძაზე ბანცალებს
თურმე ოთხივე ფეხით.
ძესერს, სახლსა და სახურაგს
ეეილგან დებაეენ კრეძით...
ეოფილა ერთი ქეეყანა,
რატომ არ გეჯერაო ჩემი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცრუე

ს. მაგროვი

ნახატი თამარ ჩირინაშვილისა

სიცრუე დავიწყე. წინათ კარგი ბიჭი ვიყავი, ახლა დღე ისე არ გავა, რამე არ ვიცრუო. შენგან პატიოსანი კაცი არ გამოვაო,—ასე ამბობს დედა.

— სკოლაა დამნაშავე,—უთხრა ერთხელ დედამ დეიდა ნასტას,—ალიოშა სელეზნოვისა და ვასკა ტრიტიაჩინისაგან აბა, უკეთესს რას ისწავლი?!.

— მართალია, სკოლაა დამნაშავე,— დაუდასტურა დეიდა ნასტამ.

— ჩემი ბიჭი ყველაფერს ადვილად ითვისებს,—განაგრძო დედამ.

— შენ უნდა გეთქვა, ყველაფერ ცუდსო, თორემ კარგს, რა თქმა უნდა, არ გადმოიღებს.

მეორე დღეს სკოლაში მივედი თუ არა, ალიოშას ვუთხარი:

— იცი, ლიოშკა, მე ყველაფერ ცუდს ადვილად ვითვისებ. თურმე შენ მაფუჭებ!

— სწორეა!—გაუხარდა ალიოშას.

მისი დასტური არ მომეწონა და შევყვირე:

— შენ კი არ მაფუჭებ, მე გაფუჭებ.

— არა მე!

ისე ვყვიროდით, რომ ჩვენი მასწავლებელი კლავდია ნიკოლაევნა შემოვიდა და ყველას გასაგონად გვითხრა: მთელ კლასს ეს ორი ბიჭი აფუჭებსო.

შინ მისვლისთანავე დედას ვუთხარი:

— ლიოშკა კი არ მაფუჭებს, ჩვენ ორივენი ვაფუჭებთ მთელ კლასს.

— ვინ გითხრა ასეთი სისულელე?— გაუკვირდა დედას.

— ვინა და, კლავდია ნიკოლაევნამ.

— განა რა ჩაიდინეთ ასეთი? თვითონ ვერ ამყარებენ წესრიგს და ბავშვებს აბრალებენ!—გაწყრა მამაჩემი.

— კარგა ხანია ვამჩნევ, რომ კლავდია ნიკოლაევნა ჩვენს ბიჭს გადაეკიდა. ვერ გავიგე, რა უნდა? ეს არაპედაგოგიური საქციელია.

— ნებას არ მივცემ, ჩემს შვილს ვინმემ დასცინოს!— თქვა მამამ.—ერთი შეხედე, რას დაემსგავსა.

— ჰო, ცარიელი ცხვირი დარჩა,

— მოდი, ხვალ სკოლაში ნუ გავუშვებთ.

— არა, სკოლაში უნდა წავიდე!—გავჯიუტდი მე.

— შენ არ გეკითხებიან, წახვალ თუ არა! როცა ორიანების მაგივრად ხელფასს მოიტან, აი, მაშინ შეგეკითხებიან.

ტირილი დავიწყე.

— კლავდია ნიკოლაევნა ბიჭს შავ დღეს დააყრის!—შეეშინდა დედას.

— წერილი მისწერე, რომ დღეობა ჰქონდა და გვიან დაიძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეობას ხომ ორჯერ არ იხდიან.

— მაშინ, ვითომ ბებიას დაუხვდა სადგურზე და...

— ეგეც უკვე იყო.

— ვიტყვი, რომ ტრამვაის ქვეშ ჩავვარდი,—წავუშველე მამას.

— სულელო! რაებს როშავ!—გაბრაზდა მამა.

— ჯირკლები რომ მოვიმიზეზოთ.

— ეგ უფრო მართალს ჰგავს!—თქვა მამამ.

ორი დღე შინ ვიჯექი გამომწყვდეული. დავსეირნობდი ოთახებში და აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

მესამე დღეს მივედი სკოლაში.

— ისევ ავად იყავი?—მკითხა ლიოშკამ.

— რის ავად, შინ ვეგდე უსაქმოდ.

— მერე მასწავლებელი რას გეტყვის?

— მამამ ბარათი გამომატანა.

— რას ამბობ? მამაჩემი არაფრით არ დაწერს ტყუილ ბარათს.

— მამაჩემი კი რასაც გინდა, იმას დაწერს, ვთქვი მე და მასწავლებელთან წავედი.

— რით იყავი ავად?—მკითხა მან.

— ჯირკლებით.

— ექიმი იყო?

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ცოტა დავფიქრდი და ვუთხარი:—იყო.

— წამალი გამოგიწერა?

— არა, არ გამოუწერია.

— რატომ?

— იმიტომ რომ... ავტოკალამი დაჰკარგვია.

— მართლა?—მასწავლებელმა გაიღიმა და რატომღაც არ დამიჯერა.—კარგი, ხვალ მამაშენი მოვიდეს.

— ეგ ვერ გითქვამს კარგად,—თქვა მამამ.—ახლა აღარ ვიცი წავიდე თუ არა მასწავლებელთან.

— ნუ წახვალ,—ურჩია დედამ.

— კაუის კოლოფო,—მითხრა მამამ,—მასწავლებელს ეტყვი, რომ მე შორეულ მივლინებაში გამგზავნეს. მეტი არაფერი წამოროშო.

— მაშინ დედა მოვიდეს,—მითხრა მასწავლებელმა.

ვიცოდი, არც დედას უნდოდა მისვლა.

— ვერც ის მოვა.

— რატომ, ავად არის?

— დედა ბებიასთან წავიდა სოფელში.

— აბა, შენ ვისთან ხარ?

— არავისთან.

— ვინ გიმზადებს სადილს?

— არავინ.

— შენი კარის მეზობელი ბერდისოვა სადღაა?

— ის ხომ მოკვდა.

კლავდია ნიკოლაევნამ ხელით შუბლი მოისრისა და თქვა:

— არაფერი მესმის. დღეს მოვალ შენთან.

შინისაკენ მივდიოდი და ვფიქრობდი: რა ხათაბალაში გავები. რამ მათქმევინა ამდენი ტყუილი!

დედას და მამას ყველაფერი ვუამბე. მამა ძალიან გამიჯავრდა:

— ყველაზე უფრო ის მაშფოთებს, რომ ჩვენი შვილი ძალიან უაზრო ტყუილებს ლაპარაკობს. კეთილი ინებე, შენ თვითონ დაიძვრინე თავი ამდენი აბდაუბდისაგან!

მე სამზარეულოში გავედი. ჩვენი მეზობელი ბერდისოვა, ჩვეულებრივ, სადილს ამზადებდა.

— ბებია, ვუთხარი მე,—თქვენ არ შეგიძლიათ ნასადილევს რომ მოკვდეთ.

— ჩემი ხნის ქალის სიკვდილი ყოველწუთს მოსალოდნელია,—მიპასუხა მან.—არა, მაინც რაში დაგჭირდა ჩემი სიკვდილი?

მე ყველაფერი ვუამბე.

— ოჰ, ღმერთო ჩემო,—აღელდა მოხუცი,—როგორ აფუჭებენ ამ ყმაწვილს!

მან წინსაფარი მოიძრო და ჩვენებთან შევიდა. ისინი დიდხანს საუბრობდნენ.

შინ რომ შევედი, არც ერთმა აღარ შემომხედა.

— ხედავ, რა სიმართლის მოყვარული შვილი გვეზრდება!—თქვა მამამ.

დედამ არაფერი უპასუხა. გულის წუხილის წვეთებს ასხამდა პატარა ჭიქაში.

თარგმნა ვალერიან ნაჭყებიამ

ბებოც მიყვარს, ბაბუც მიყვარს

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

გიორგი კაჭახიძე

ბებო როცა ჩემზე ამბობს:
— თიკო ძარტო ჩემია,—
ბაბუ იტყვის:—ყურ დაუთმობ,
თიკო თავს ძირჩვენია.—

ძერე ერთად შესვეიან,
სასეირნოდ მოძრთაყენ...
ბებოც მიყვარს, ბაბუც მიყვარს,
ქეც გუქვარგვარ ორთაყეს.

მე და დედა

დღეს ეზოშიც არ გავსულვარ,
დედა კარგად ვერ არის.
ჩემზე უკეთ ჩემს დედიკოს
ვერ მიხედავს ვერავინ.

დედაც ზრუნვით მოსიბლული
მეუბნება ღიმილით:
— რომ გიყურებ, ძავიწყდება,
შვილო, ყველა ტკივილი.

ნაბულა

გალაკტიონ მახარაძე

ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა

ძია ნიკა ვეტექიმი გახლდათ, დღეს რომ ქალაქში იყო, ხვალ სოფელში ამოყოფდა თავს. ხელცარიელი კი არასდროს დაბრუნდებოდა ძმისშვილთან.

იმ დღესაც ძია ნიკა კარის ზღურბლთან შეჩერდა:

— ზეზვა, თუ ბიჭი ხარ, გამოიცანი, რა მიდევს უბეში!

ზეზვამ ხელში შერჩენილი პლასტმასის ავტომატი სავარძელზე მოისროლა და გიყვარდეს, გაიქცა,—დაჩვეული იყო, კისერზე უნდა შეხტომოდა ბიძას.

უგანა ნიკამ:—ვერ მოგართვიო,—მიუგო,—თუ ბიჭი ხარ, რაც გითხარი, ის გამოიცანიო.

— ტანკი!—იყვირა უცებ.

— ტანკი არა, ტანკერი არ გინდა,—გამოაჯავრა ძია ნიკამ.

— მაშ, რა არის?

— თუ გითხარი, რა გამოვიდა.

— რა უნდა იყოს?!—გაიკვირვა ზეზვამ.

— ის თქვა, ეს თქვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოიცნო.

ძია ნიკამ ცანცარას ყურები გამოაჩინა უბიდან.

— ნამდვილია, ძია?

— აბა, როგორ! ნამდვილია, სახელიც მოვუნახე, ნაბულა ქვია.

— შინაურია?

— რა შინაური! ფერმის ბომბორა ძაღლებმა ძლივს გააკავეს. მერე მწყემსი დაეხმარა და გაკოჭეს.

მალე მთელი უბნის გოგო-ბიჭებმა მოიყარეს თავი ზეზვასთან. ზეზვას გარეული ბაჭია უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახოთო, ოთახი აივსო. იმდენი სტაფილო და კომბოსტო მოიტანეს, ერთი ბაჭია რა არის, ასი ვერ მოერეოდა. მოიტანეს, მაგრამ რა გინდა,— პირი არაფერს დაეკარა ნაბულამ.

დღონდნენ გოგო-ბიჭები, პირში თუ არაფერი ჩაიდო, როგორ ვაცოცხლოთო.

ოთახში ბებია შემოვიდა:

— ეს თქვენი ძღვენი და ალერსი ბაჭიას არ ეპიტნავება. ის მინდვრებისა და ბუჩქების შვილია და ყველაფერს ნავარდი ურჩევნია.

— მერე?

— რა მერე, თუ მისი სიკეთე გინდათ, ბაჭია უნდა გაუშვათ.

დღონდნენ გოგო-ბიჭები. ნამდვილი გარეული ბაჭია მოიხელთეს და გაეშვათ? ზოგმა ისა თქვა, ზოგმა ესა, არაფერი გამოუვიდათ, ოქროს გალიაც რომ ეშოვნათ, ბოლო მაინც ერთი იყო თურმე,—ნაბულა ტყეობაში დალევდა სულს.

ისევ ბებიამ უშველათ:

— ადით აგერ იმ გორაზე, გაუშვით ბაჭია და მერე თავის გზას თვითონ მონახავსო.

რა ექნათ, ზეზვამ მკერდზე მიიხუტა ნაბულა და გზას გაუდგა. მთელი უბნის გოგო-ბიჭები მიაცილებდნენ ზეზვასა და ბაჭიას.

დასვეს ბაჭია ბუჩქის ძირას. მიხვდა ნაბულა ბედმა რომ გაუღიმა, ერთი შეტოკდა, დაჰკრა ფეხი მიწას და იცოცხლე, მოუსვა, მაგრამ რა მოუსვა!

— რომ დაიკარგოს?—წუხდნენ ბიჭები.

— დედა მაინც იპოვნის!

აბა, სად გაგონილა, რომ დედამ ბაჭია ეძებოს და ვერ იპოვნოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბაბაკი

აფრიკული ზღაპარი

ანა გეელჰარი

ნახატი ედუარდ ამბოლაძისა

ოდესღაც ერთმანეთის მახლობლად ძაღლი და კუ ცხოვრობდნენ. ექვს-ექვსი შვილი ჰყავდათ, კუს შვილები უფრო ღონივრად და ჯანსაღად გამოიყურებოდნენ. კუმ, თურმე, ერთი ადგილი იცოდა ტყეში, სადაც უზარმაზარ ხეებს მეტად გემრიელი და სასარგებლო ნაყოფი ესხათ. იგი ყოველდღე უზიდავდა ამ საუცხოო ხილს თავის შვილებს, ღეკვებს კი ხშირად საჭმელიც არა ჰქონდათ და შიმშილობდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს ყურშამ თვალი შეასწრო, როგორ შეექცეოდა პატარა კუ ხილს. გემრიელიაო?—ჰკითხა და ახლოს მიუცოცდა.

— გინდა, გაჭამო?—გაელიმა კუს.

— მინდაო,—თავი დაუქნია ყურშამ. კუმ საუზმე უწილადა. ყურშამ ცოტა შეჭამა და დანარჩენი დედას მიურბენინა:—ნახე, კუმ როგორი გემრიელი ხილი მაჭამაო. დედამ გემო გაუსინჯა თუ არა, მაშინვე კუსთან გაიქცა.

— ლიდა მშვიდობისა, მეზობელო!

— ლიდა მშვიდობისა, ჩემო კარგო!

— საყვარელო კუ!—შეეხვეწა ძაღლი,—ჩემს პატარებს ღანდი გასცით, ოღონდ იმათ საჭმელი ვუშოვო და ცხრა მთას გადავაღ. უარს ნუ მეტყვი, მეც წამიყვანე ხილის მოსატანად.

მერე ჩემს შვილებს რომ აღარ ეყოსო, გაიფიქრა კუმ, მაგრამ არაფერი აგრძნობინა, გაუღიმა და უთხრა:

— კარგი, კარგი, მოდი ჩემთან ხვაღ, ლილაადრიან და წავიდეთო.

ძაღლმა მადლობა გადაუხადა და გახარებული დაბრუნდა შინ. მთელი ღამე ტყეში წასვლაზე ოცნებობდა, ვერა და ვერ დაიძინა, შუაღამე იყო, კუს კარზე რომ მიადგა და დაუკაკუნა.

— ამ შუაღამისას რამ მოგიყვანა, აღარ დამაძინებო?—აბუზღუნდა კუ.

— მაპატიე, ჩემო კარგო, სიხარულით ვეღარ დავიძინე,—მიუგო ძაღლმა, გამობრუნდა და გათენებას დაუწყო ლოდინი.

ეშმაკმა კუმ აღარ დაუცადა, მაშინვე ტყისკენ გასწია, ჩუმად მოიტანა ხილი და ისევ დაწვა დასაძინებლად, განთიადისას მოსუდ ძაღლს კი უთხრა: ღღეს ცოტა შეუძლოდა ვარ, სიარული მიჭირს და სხვა ღროს წავიდეთო.

ღაღონდა ძაღლი, მაგრამ რა უნდა ექნა, ხელცარიელი ღაბრუნდა შინ. კუ მეორე და მესამე ღღესაც ასე უსინდისოდ ატყუებდა. ბოლოს ძაღლს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთმინება დაეკარგა: — დახმარებას შემპირდი, ჩემი პატარები შიმშილით დამეხოცებიან, ახლავე უნდა წამომყვე და მაჩვენო სად არის ხიდი!

კუს სხვა გზა აღარ ჰქონდა: — კარგიო, — უთხრა, — იმ პირობით წაგიყვან, თუ იქ ყეფას არ ასტეხ, ფეხაკრებით უნდა ვიაროთ, თორემ ვეფხვი დაგვიჭერსო.

— ხმას არ ამოვიღებ! — შეჰპირდა ძაღლი.

წავიდნენ ტყეში... ჩუმად მიიპარნენ ხესთან, აგრეთვეს და აგრეთვეს ჩამოყრილი ხიდი, მწიფე ნაყოფი კი ცვიოდა და ცვიოდა... კუს რომ დაეცა ზურგზე, ხმაც არ ამოუღია, შეჩვეული იყო ამ ამბავს. ძაღლს რომ დაეცა, ისე შეეშინდა, რომ სიფრთხილე დაავიწყდა და დაიყეფა, ყეფაზე ვეფხვს გამოელვიძა და განრისხებულმა დაილრიალა.

ძაღლი მაშინვე გაიქცა და თავს უშველა, კუს კი, აბა სირბილი სად შეეძლო, იქვე ფოთლების გროვაში დაიმალა. ვეფხვმაც ვერავინ იპოვა და ის იყო, ისევ ხეზე აპირებდა ასვლას დასაძინებლად, რომ ჩიტმა ჩამოსძახა: — ვერ იპოვი, ვერა, ვერა, ფოთლებში დაიმალა, ჰი-ჰი!

ვეფხვმა ისკუპა ფოთლებში, დაიჭირა კუ და ტომარაში ჩააგდო.

ამ დროს ხიდან ისევ ჩიტის ხმა მოესმა:

— რა მშვენიერი ახალი ტომარაა, განა ღირს მისი გაფუჭება ამ ჭუჭყიანი საძაგელი კუსთვის? მე რომ ვეფხვი ვიყო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეფხვს მისი სიტყვები ჰკუაში დაუჯდა და კუ მაშინვე ძველ, დახეულ ტომარაში გადასვა. კუსაც სწორედ ეს უნდოდა, ტომრიდან გამოძვრა და შინისაკენ გასწია.

ვეფხვი შინ რომ მოვიდა, მეზობლებს დაუძახა, ტომარას პირი მოხსნა, ამაყად მიმოიხედა და დაიტრაბახა: ნახეთ ერთი ვინ დავიჭირეო, მაგრამ ტომარა ცარიელი აღმოჩნდა. განრისხებული ვეფხვი ტყეში დაბრუნდა და ხესთან დაიმალა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ისევ მოვიდნენ ძაღლი და კუ. ვეფხვმა ერთი ისკუპა, დაიჭირა კუ, ახალთახალ ტომარაში ჩააგდო, ახლა კი ველარსად წამიხვალო,—მიაძახა და შინისკენ გასწია. შინ გადაწყვიტა, კუსგან კარგი ვახშამი მოემზადებინა და მეზობლები დაეპატიჟნა. დაანთეს ეზოში დიდი ცეცხლი და წყარო კიამბაკზე გაიქცნენ წყლის მოსატანად.

ძაღლი კი იქვე შორიახლოს ჩაცუცქულიყო და იმაზე ფიქრობდა, საწყალი კუ როგორ დაეხსნა. ბოლოს ერთი აზრი მოუვიდა, გაიქცა შინ, ყელზე ღეკვების სათამაშო ჟღარუნები ჩამოიკიდა, ისევ წყაროსთან მიირბინა და ბუჩქებში დაიმალა. როგორც კი მხეცები გამოჩნდნენ, თავის ქნევას მოჰყვა: ბიმ-ბიმ-ბიმ, ბამ-ბუმ, ბამ-ბუმ...

დაფეთებულ მხეცებს რაღა ეწყინებოდათ, თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ, თან გაჰყვიროდნენ: კიამბაკი მოჯადოებულიაო! იმდენი ირბინეს, რომ სულ გადაიკარგნენ იმ არემარედან.

ძაღლმა მიირბინა ვეფხვის ბუნაგში, გაანთავისუფლა კუ და გახარებულებმა შინისკენ გასწიეს.

ის დღე იყო და, ისე დაუმეგობრდა კუ ძაღლს, ღუკმას უყოფდა.

გერმანულიდან თარგმნა **ლილი მაისურაძემ**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **აკაკი ბაქრაძე, ალეკო ბარამიძე, ალეკო ბერიძე, ალეკო ბერიძე, ალეკო ბერ



„გოგონები“—ნახ. გია ყოჩიაშვილისა, 7 წ. ზემო მაჩხაანი.



„ყაყაჩო“—ნახ. ნინო გრიგოლაშვილისა, 9 წ. თბილისი.

„პეიზაჟი“—ნახ. სოსო ცომაიასი, 8 წ. თბილისი.

„ყვავილი ქოთანში“—ნახ. ლია გორთამაშვილისა, ახმეტის რაიონი.

„მოცეკვავე გოგონა“ ნახ. სონია ხოსროშვილისა. ახმეტის რაიონი.

„ცეკვა“—ნახ. გულიკო დარბაიძისა, ჭიათურა.

„ტანკი“—ნახ. სოსო ალავიძისა, 5 წ. თბილისი.

„ყვავალები“—ნახ. ლელა ქველაძისა, 8 წ. თბილისი.

76055